



მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფი ენერგოეფექტურობის საკითხებზე

ენერგოეფექტურობის შესახებ ნებაყოფლობითი შეთანხმებები

მე-2-ე შეხვედრა 9-10-11 თებერვალი, 2021 წ.

ონლაინ შეხვედრა

მთავრობის და სამრეწველო სექტორის ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შესახებ

ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის (შემდგომში წოდებული, როგორც **სამუშაო ჯგუფი - WG**) მიზანია „პლატფორმის“ შექმნა მთავრობასა და სამრეწველო სექტორს¹ შორის რეგულარული დიალოგის წარმართვისთვის, რათა მათ ერთობლივად განიხილონ და განსაზღვრონ გადაწყვეტილებები იმ გამოწვევებზე, რომლებიც თან ახლავს ენერგოეფექტურობის შესახებ საქართველოს ახალი კანონის (და ევროკავშირის ასოცირებული დირექტივების) იმპლემენტაციას მთავრობის, სამრეწველო კომპანიებისა და მათი საქმიანობის მიმართ.

სამუშაო ჯგუფი იმუშავებს პერიოდული შეხვედრების მეშვეობით ხელმძღვანელ სამთავრობო მოხელეებსა და სამრეწველო სექტორის წარმომადგენლებს შორის, რასაც ხელს შეუწყობს სამდივნო და ექსპერტები დებატის თემასთან (თემებთან) დაკავშირებულ საკითხებზე. სამუშაოსთვის შერჩეულ კონკრეტულ თემასთან (თემებთან) დაკავშირებით შეიმუშავებენ დროში შეზღუდულ სამუშაო პროგრამებს მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო არეალით, მიზნობრივი შედეგებითა და მიზნებით.

სამუშაო ჯგუფმა საქმიანობა დაიწყო 2020 წლის დასაწყისში ენერგოეფექტურობის იმპლემენტაციის მიზნით მთავრობასა და მსხვილ საწარმოებს შორის **ნებაყოფლობითი შეთანხმებების (VA) სქემაზე** მუშაობით. თავდაპირველ სამუშაო მიზნად შერჩეული იქნა საქართველოს კანონის „ენერგოეფექტურობის შესახებ“ 21-ე მუხლის *“დამატებითი პოლიტიკა ინდუსტრიაში ენერგოეფექტურობის წასახალისებლად“* განხილვა.

სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრას უმასპინძლა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2020 წლის 19 თებერვალს და შეხვედრას ესწრებოდა 18 მონაწილე, მათ შორის დიდი საწარმოს 8 წარმომადგენელი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე ფინანსთა სამინისტროს და პარლამენტის თანამშრომლები. პირველი შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო მრეწველობაში ენერგოეფექტურობის ნებაყოფლობითი შეთანხმებების მიმოხილვა და დაიწყო დისკუსია დიზაინის ზოგიერთ ძირითად ელემენტებზე, როგორცაა ენერგოეფექტურობის რომელი ღონისძიებები უნდა იქნას მხარდაჭერილი და რა ტიპის წახალისებები იყოს შეტანილი ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემაში. პირველი შეხვედრის პრეზენტაციები და ოქმი შეგიძლიათ იხილოთ

¹ ტერმინი “მრეწველობა” აქ გამოიყენება სამუშაო ჯგუფის კონტექსტში უფრო ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს კომპანიებს როგორც ტრადიციული წარმოების და გადამუშავების სექტორიდან, ასევე ენერგო სექტორიდან და სხვა კომერციული სექტორებიდან, მსხვილ კომპანიებსა და ენერგო მომხმარებლებისთან ერთად.



აქ: <http://www.economy.ge/?page=economy&s=128&lang=ge>

სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრის მიზანია გააგრძელოს ორი ძირითადი თემის/საქართველოს შესაძლო მომავალი ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემის ელემენტების განხილვა:

1. ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემაში მონაწილე საწარმოების მიერ მისაღწევი მიზნების ჩამოყალიბება
2. წახალისების სტიმულები, რომლებიც შეთავაზებული უნდა იქნას ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემაში მონაწილე საწარმოებისთვის

შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილი იქნება საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ჩატარებული ენერგოეფექტურობის კვლევის წინასწარი შედეგები.

შეხვედრა ჩატარდება 2-3 ონლაინ სესიად. შეხვედრაზე დასასწრებადსაჭიროა რეგისტრაცია. გთხოვთ, იხილოთ შემდეგი ფურცლები დღის წესრიგის, რეგისტრაციის და „ლოგისტიკური“ ინფორმაციისათვის.



დღის წესრიგი

წინასწარი სესია - სამშაბათი 9 თებერვალი, 2021, 10:50 – 12:10

ეს სესია არის იმ დაინტერესებული მხარეებისთვის, ვინც არ დასწრებია სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრას

- 10:50 – 11:00 რეგისტრაცია - ვიდეო კომუნიკაციის პლატფორმასთან დაკავშირება
- 11:00 - 11:10 მისალმება და წარდგენა - ქ-ნი ნინო ლაზაშვილი, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO
ბ-ნი მარკო მატტეინი, მრეწველობის განვითარების ოფისერი, UNIDO
- 11:10 - 11:40 პირველი შეხვედრის შეჯამება და ძირითადი ინფორმაცია - ბ-ნი მარკო მატტეინი, მრეწველობის განვითარების ოფისერი, UNIDO
- 11:40 - 12:00 კითხვები და პასუხები
- 12:00 - 12:10 შეჯამება

სესია 1 – ოთხშაბათი, 10 თებერვალი, 2021, 10:50-13:00

- 10:50 – 11:00 რეგისტრაცია - ვიდეო კომუნიკაციის პლატფორმასთან დაკავშირება
- 11:00 – 11:15 მონაწილეებთან მისალმება ბ-ნი დავით თვალაბეიშვილი, მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
მაია ცხვარაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- 11:15 - 11:30 სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის დასკვნები და მიღებული მონაცემები - ბ-ნი მარკო მატტეინი, მრეწველობის განვითარების ოფისერი, UNIDO
- 11:30 - 11:50 ენერგოეფექტურობის კვლევის წინასწარი შედეგები - ქ-ნი ნინო ლაზაშვილი, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO
- 11:50 - 12:00 მოკლე შესვენება
- 12:00 - 12:30 ენერჯის დაზოგვის მიზნების დასახვა - ქ-ნი გაბრიელა ბრანდლი, უფროსი ექსპერტი, ავსტრიის ენერგეტიკული სააგენტო
- 12:30 - 12:50 კითხვები და პასუხები
- 12:50 - 13:00 შეჯამება

სესია 2 – ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 2021, 10:50-12:30

- 10:50 – 11:00 რეგისტრაცია - ვიდეო კომუნიკაციის პლატფორმასთან დაკავშირება
- 11:00 - 11:10 მონაწილეებთან მისალმება ქ-ნი მარიტა არაბიძე, რეფორმების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- 11:10 - 11:20 სესია 1 ის ძირითადი საკითხები - ქ-ნი ნინო ლაზაშვილი, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO
- 11:20 - 11:50 სტიმული ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემაში მონაწილე კომპანიებისთვის - ბ-ნი მარკო მატტეინი, მრეწველობის განვითარების ოფისერი, UNIDO
- 11:50 - 12:20 კითხვები და პასუხები
- 12:20 - 12:30 შეჯამება და შემდგომი ნაბიჯები - ბ-ნი გიორგი აბულაშვილი, დირექტორი, ენერგოეფექტურობის ცენტრი, საქართველო და ბ-ნი მარკო მატტეინი, მრეწველობის განვითარების ოფისერი, UNIDO



ადგილი

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართება ვიდეო საკომუნიკაციო/საკონფერენციო პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით. მოწვევის ლინკი ყველა რეგისტრირებულ მონაწილეს გაეგზავნება ელექტრონული ფოსტით თითოეული შეხვედრის წინ.

სამუშაო ენა

შეხვედრების დროს პრეზენტაციები, დისკუსიები და განხილვები გაიმართება ქართულ და ინგლისურ ენებზე. უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი.

საორგანიზაციო საკითხები

გთხოვთ, თქვენი მონაწილეობა 2021 წლის 5 თებერვლამდე დაუდასტუროთ ელ.ფოსტაზე: N.LAZASHVILI@unido.org, ქ-ნი ნინო ლაზაშვილს, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO

წერილი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის სახელი
- დამსწრე წარმომადგენლების სრული სახელი, გვარი და თანამდებობა
- მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი
- არჩევითი: რას მოელიან შეხვედრიდან და კითხვები

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ:

ქ-ნი ნინო ლაზაშვილი

პროექტის ეროვნული მენეჯერი

ენერგო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება

UNIDO

მობ. +995 599 699 757

ელ-ფოსტა: N.Lazashvili@unido.org